დანართი 1

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის დროს გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი ფაქტორები:

ა) მიმართულების/დარგის/ქვედარგის სპეციფიკა;
ბ) სტუდენტების არსებული რაოდენობა;
გ) სტუდენტების დაგეგმილი რაოდენობა;
დ) შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის, მასწავლებლების რაოდენობა;
ე) მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება.

2. პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი პერსონალი - უნივერსიტეტის ნებისმიერი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის თანამშრომელი, უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალი, უნივერსიტეტის ენების შემსწავლელი ცენტრის მასწავლებელი - სასურველია შეადგენდეს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის 2/3-ს. გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნას იმ საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, რომელთა სწავლის შედეგები მოითხოვს სპეციფიკური პროფესიული/პრაქტიკული ცოდნისა და უნარების მქონე პერსონალის მოწვევას და/ან სწავლებას მცირერიცხოვან ჯგუფებში.